ოქმი:**ო31. 3124092001**
თარიღი:**01/04/2024**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის
ოქმი N3

ქ. ლანჩხუთი

26. 03. 2024 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები გიორგი ჩახვაძე და ვერიკო კვირკველია, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე მაკა მშვიდობაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე.

მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის, ეკონომიკისა და საინვესტიციო პროექტების განყოფილების უფროსი მაია აფხაზავა, მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი პაატა ურუშაძე, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი ვარდენ კვაჭაძე, მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მერიიდან შემოვიდა ორი საკითხი და მიმართა საკრებულოს წევრებს, რომ აღნიშნული საკითხები დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს.
კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი.

მომხრე საკრებულოს 21 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი მაია აფხაზავა /

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი პაატა ურუშაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ალექსანდრე სარიშვილი/

/თანამომხსენებელი როლანდ ლაშხია/

4. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 აპრილის N11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ ,,ოდა ქეარისთვის“ (ს/ნ 437373156) პირდაპირი განკარგვის წესით, ორი წლის ვადით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ვარდენ კვაჭაძე/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო ფასის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ვარდენ კვაჭაძე/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირობიანი ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ვარდენ კვაჭაძე/

8.სხვადასხვა საკითხები

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი.

მომხრე საკრებულოს 21 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის, ეკონომიკისა და საინვესტიციო პროექტების განყოფილების უფროსმა **მაია აფხაზავამ.** მან განმარტა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია შემოიღოს ამ კოდექსით დაწესებული ადგილობრივი გადასახადი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მთელ ტერიტორიაზე ერთიანი განაკვეთის სახით ან/და ამ ერთეულის ტერიტორიაზე ცალკეული დარგების ან/და საქმიანობის სახეების მიხედვით, ამავე კოდექსით დადგენილი ზღვრული განაკვეთის ფარგლებში. ამავე კოდექსის 204-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად მიწაზე საგადასახადო ვალდებულება განისაზღვრება საგადასახადო წლის 1 აპრილისათვის მოქმედი განაკვეთებით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია საკრებულომ ყოველწლიურად განსაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქონების გადასახადის განაკვეთი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მერიის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მიერ მომზადდა შესაბამისი ნორმატიული აქტის პროექტი. ამასთანავე, ამავე დადგენილებითვე ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 23 მარტის N10 დადგენილება. ვინაიდან ნორმატიული აქტის მისაღებად საკრებულომ უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, სამსახურის მიერ მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტიც. პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას, არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას და ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებას.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი.
მომხრე საკრებულოს 21 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა დადგენილება N4(26.03.2024).

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა **პაატა ურუშაძემ.** მან განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის“ მე-6 მუხლში, რომელიც შეეხება გამარჯვებული გუნდის ან/ და ინდივიდუალური მონაწილის დაჯილდოებას.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი.
მომხრე საკრებულოს 21 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა დადგენილება N5(26.03.2024).

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა.** მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსავლებმა 37254,9 ათ.ლარი შეადგინა გეგმის 107,5 %-ი, აქედან გადასახადების სახით მიღებულია 13394,6 ათ.ლარი გეგმის 102,6%-ი, სხვა შემოსავლები მიღებულია 4498,5 ათ.ლარი რაც გეგმის 139,2 %-ს შეადგენს, გრანტის სახით მიღებული 19361,8 ათ.ლარი, აქედან გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან 18269,4 ათ.ლარი, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებულია გრანტი 137,78 ათ.ლარი. საფინანსო წელში გაწეულია 20746,1 ათ.ლარის ხარჯი, მათ შორის შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 7018,9 ათ.ლარი, საქონელი და მომსახურების მუხლით ხარჯმა 8543,9 ათ.ლარი შეადგინა, სესხის მომსახურების პროცენტი 21,2 ათ.ლარია, სოციალურ უზრუნველყოფის დაფინანსებაზე მიიმართა 881,7 ათ.ლარი, სხვა ხარჯების ღონისძიებებზე 3582,5 ათ.ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა 14851,7 ათ.ლარს შეადგენს, კლება 98,7 ათ.ლარს, მთლიანი დადებითი სალდომ 1755,9 ათ.ლარი შეადგინა. მგფ-ის მიმართ მუნიციპალიტეტის სასესხო დავალიანება 2023 წლის 1 იანვრისათვის შეადგენდა 203,0 ათას ლარს, ხოლო 2024 წლის 1 იანვრისათვის 145,0 ათასი ლარი იქნება .2023 წელს დაფარული იქნა 58,0 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა -1697,8 ათასი ლარის ოდენობით. 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ანგარიშზე ირიცხებოდა 5241,5 ათასი ლარი, აღნიშნული ნაშთიდან 2252,4 ათასი ლარი იყო თავისუფალი ნაშთი და 2989,1 ათასი ლარი განკარგულებებით გამოყოფილი თანხების ნაშთმა. 2023 წელს დაიგეგმა თავისუფალი ნაშთის 2252,4 ათასი ლარის და განკარგულებებით გამოყოფილი თანხების ნაშთის 2683,8 ათასი ლარის გადასახდელებზე მიმართვა. 2024 წლის 1 /1 სათვის ნაშთი განისაზღვრა 6939,1 ათასი ლარით, მათ შორის თავისუფალმა ნაშთმა შეადგინა 4494,1 ათასი ლარი. სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდიდან აღებული სესხის მომსახურებაზე გაიწია 79,2 ათასი ლარი, მათ შორის ძირითადი ვალდებულება შემცირდა 58,0 ათასი ლარით, მომსახურების პროცენტმა შეადგინა 21,2 ათასი ლარი.

საკრებულოს წევრმა **გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ ბიუჯეტი უნდა აკმაყოფილებდეს კრიტერიუმებს, კერძოდ შემოსავალი, ხარჯი და ნაშთი აბალანსებდეს ერთმანეთს. 2023 წლის ბიუჯეტში დაახლოებით 3,5 მილიონი ლარი დარჩა ნაშთის სახით. მისი თქმით, ნაშთი უნდა გაეწერათ, ბიუჯეტი ცუდად დაიგეგმა, ან წლის განმავლობაში ბევრი პრობლემა იყო, რის გამოც ამ ეტაპზე ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ აუდიტის დასკვნის გარეშე მონაწილეობას არ მიიღებს 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცებაში, რისთვისაც ვადა ჯერ კიდევ არის მაისის ბოლომდე. ის ასევე დაინტერესდა, თუ რა ვადაში უნდა დაინიშნოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურის უფროსები, რადგანაც რამდენიმე მათგანი საკმაო ხანია არის მოვალეობის შემსრულებლები.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ კანონმდებლობით არ არის ვალდებულება ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს ახლდეს აუდიტის დასკვნა. ამასთანავე, არ ყოფილა მოთხოვნა აუდიტის მოწვევის შესახებ არც საკრებულოს წევრების და არც ფრაქციების და კომისიების მხრიდან. ამ ეტაპზე შემოსულია და მუშაობს სახელმწიფო აუდიტი, ამიტომ, კერძო აუდიტის მოწვევა არ ჩაუთვლიათ საჭიროდ. მალე დაიდება დასკვნა და ყველას შეეძლება გაეცნოს. მან იქვე განმარტა, რომ 2023 წლის ბიუჯეტიდან ნაშთი შეადგენს 6900000 ლარს, აქედან 2000000 ლარი ჩამოირიცხა 2023 წლის დეკემბრის ბოლოს და ფიზიკურად ვერ მოხდებოდა მისი სრულად ათვისება. 2994000 ლარი და 2450000 ლარი გადმოჰყვა იმ პროექტებს, რომლებიც 2024 წელს უნდა გაგრძელდეს, მაგრამ ეს ყველა თანხა 2024 წლის ბიუჯეტში სრულად გაწერილია და ნაშთად აღარ იქნება.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ მერიაში ვაკანტურია ორი სამსახურის უფროსის ადგილი, სადაც გარკვეულ წილად გაზრდილია საკვალიფიკაციო მოთხოვნები, მაგრამ მალე გამოცხადდება კონკურსი და ეს საკითხიც მოგვარდება.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ზაზა წულაძე** დაინტერესდა, მუნიციპალიტეტისათვის გადმოცემული შიდა სამარშრუტო ტრანსპორტის დაზღვევის საკითხით.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ აღნიშნული ავტობუსები გადაეცა ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრს, გაფორმდა ხელშეკრულება და სანამ ხაზებზე გავა ტრანსპორტი,

მოგვარებული იქნება დაზღვევის საკითხი.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ **ია მოქიამ** აღნიშნა, რომ 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, რიგი საკითხების გამო ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ მიერ დადებითად იქნა შეფასებული. მისი თქმით, გასული წელი მუნიციპალიტეტისთვის იყო წარმატებულიც და ტრაგიკულიც მომხდარი სტიქიის გამო, მიუხედავად ამისა, მერმა საკრებულოსა და ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერით მოახდინა სრული მობილიზება და პრიორიტეტების სწორი მართვა, განხორციელდა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული თუ სოციალური პროგრამები. სწორედ, ადგილობრივი ბიუჯეტიდან მოსახლეობა სარგებლობს იმ პროგრამებით, რომელიც მორგებულია მათზე და მუნიციპალიტეტს საქართველოს მასშტაბით ერთ-ერთი წარმატებული სოციალური პროგრამები აქვს. რაც შეეხება ბიუჯეტს, იგი შესრულდა გადაჭარბებით. მან მიმართა მოსახლეობას, რომელიც ბიუჯეტს აფასებს გაკეთებული საქმის მიხედვით, რომ თავად შეაფასონ, როგორ მუშაობს დღეს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი და რამდენი მნიშვნელოვანი საქმე გაკეთდა მხოლოდ ერთ წელში. მან ასევე მოუწოდა კოლეგებს, როგორც ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ სხდომაზე იყვნენ ერთსულოვნები, ამჯერადაც მხარი დაუჭირონ და დაამტკიცონ 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ **ია მოქიამ** მუნიციპალიტეტს უსურვა წარმატებები და აღნიშნა, რომ 2024 წელს კიდევ უფრო მეტი სასიკეთო საქმეები გაკეთდება მოსახლეობის საკეთილდღეოდ. დასასრულს, მან საქართველოს ფეხბურთის ნაკრებს უსურვა გამარჯვება დღევანდელ თამაშზე, რასაც შეუერთდნენ საკრებულოს დანარჩენი წევრებიც.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი.
მომხრე საკრებულოს 16 წევრი, წინააღმდეგი 5 წევრი (გიორგი გოგუაძე, ირმა მგელაძე, მაკა მშვიდობაძე, ჯუმბერ ბლაგიძე, გოჩა ჯანაშია).
მიღებულ იქნა განკარგულება N13(26.03.2024).

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 აპრილის N11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ.** მან განმარტა, რომ ზემოაღნიშნული დადგენილების ცვლილება განპირობებულია საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში შეტანილი ცვლილებით, რის საფუძველზეც გაიწერა მოთხოვნა, რომ მშენებლობის შეჩერების შესახებ მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის ორგანოს დადგენილება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას აღნიშნული მშენებლობის შეუჩერებლობის შემთხვევაში შესაძლო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 აპრილის N11 დადგენილების მე-3 მუხლით დამტკიცებული მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების ფორმა შესაბამისად საჭიროებს ზემოაღნიშნული ცვლილების ასახვას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია საკრებულომ განიხილოს და მიიღოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და

სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადებული შესაბამისი ნორმატიული აქტის ცვლილების პროექტი, ვინაიდან ნორმატიული აქტის მისაღებად საკრებულომ უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, სამსახურის მიერ მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტიც. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი.
მომხრე საკრებულოს 21 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N14(26.31.2024).

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ ,,ოდა ქეარისთვის“ (ს/ნ 437373156) პირდაპირი განკარგვის წესით, ორი წლის ვადით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, 2024 წლის 22 თებერვლის N14 წერილით, (კანცელარიის ნომერი N 10/302405349-30 – 22.02.2024 წ.) მომართა ა(ა)იპ ,,ოდა ქეარის“ დირექტორმა ვერა წულაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ორგანიზაცია ახორციელებს: ბავშვთა ადრეული განვითარების, რეაბილიტაცია/აბილიტაციისა და აუტიზმის პროგრამას. ა(ა)იპ ,,ოდა ქეარის“ დირექტორმა ასევე აღნიშნა, რომ ორგანიზაციას მზარდი მომართვიანობის გამო, ესაჭიროება დამატებითი სივრცე, რის გამოც ითხოვა - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა - ნაგებობის (ს/კ 27.06.52.141) პირველ სართულზე მდებარე 12,58 კვ.მ. (ს/კ 27.06.52.141.01.501) ფართის გადაცემა. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 122-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ქონების უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემა დასაშვებია არაუმეტეს ორი წლის ვადით, გარდა აღნიშნული მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ განიხილოთ მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების ა(ა)იპ ,,ოდა ქეარისთვის“ (ს/ნ 437373156) პირდაპირი განკარგვის წესით, ორი წლის ვადით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემის საკითხი და მოგვცეთ თანხმობა. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი.
მომხრე საკრებულოს 21 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N15(26.03.2024).

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო ფასის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ.** მან განმარტა, რომ სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 06 ივლისის N004697023 და N5004280923 დასკვნების საფუძველზე, შეფასებულია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება, კერძოდ სატრანსპორტო საშუალება ავტომობილი SHKODA OCTAVIA (სახელმწიფო ნომერი FF-535- FG, გამოშვების წელი 2006 წ.) - 4500 ლარის ოდენობით და სატრანსპორტო საშუალება სატვირთო FFORD TRANSIT (სახელმწიფო ნომერი BB

BC-757-DB, გამოშვების წელი 1995 წ.) - 5500 ლარის ოდენობით. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებულმა აუქციონატორმა, კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, ზემოაღნიშნული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოძრავ ქონების პრივატიზების მიზნით, უზრუნველყო როგორც საწყისი, ასევე შემცირებული საპრივატიზაციო საფასურით ელექტრონული აუქციონების მოწყობა - თუმცა მათი განკარგვა არ განხორციელდა. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა, რომ ზემოაღნიშნულ მოძრავ ქონებაზე ისევ გამოცხადდეს განმეორებითი ელექტრონული აუქციონი და მუნიციპალური მოძრავი ქონების საწყისი საპრივატიზაციო საფასური შემცირდეს 40 % - ით. ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669 დადგენილების 38-ე მუხლის შესაბამისად, თუ მუნიციპალიტეტის ქონება განმეორებით აუქციონზეც არ განიკარგა, საწყისი საპრივატიზაციო საფასური შეიძლება კიდევ შემცირდეს. ასეთ შემთხვევაში, ყოველი განმეორებითი აუქციონის ჩატარებისას, ქონების საპრივატიზაციო საფასურსა და სხვა პირობებს ადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულო. პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი.
მომხრე საკრებულოს 21 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N16(26.03.2024).

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირობიანი ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მოსაზრებაა ერთ ლოტად გაერთიანდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში - 27.06.56.166 და 27.06.56.857 საკადასტრო კოდებზე არსებული უძრავი ქონება, რომ შემდგომში განსაზღვრული ვადით, (7 წლის ვადით) განხორციელდეს აღნიშნულ ქონების ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემა. ,,ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 36-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულო, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წარდგინებით, განსაზღვრავს სარგებლობის უფლებით გადასაცემი უძრავი ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობას. ზემოაღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიამ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში - 27.06.56.166 და 27.06.56.857 საკადასტრო კოდებზე არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასური და ბიჯის ოდენობა გამოთვალა, ქონების ღირებულების საწყისი ფასიდან (რომელიც ასახულია სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2022 წლის 16 დეკემბრის N008750222 და 2024 წლის 7 მარტის N001255424 დასკვნებში) რომელიც გაიწერა ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირობიანი ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტში. პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი.
მომხრე საკრებულოს 21 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N17(26.03.2024).

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს წევრმა **ირმა მგელაძემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტში აშენდა რამდენიმე ახალი საბავშვო ბაღი, სადაც დასაქმებულ პირთა რაოდენობა ვერ მოდის შესაბამისობაში ბავშვების რაოდენობასთან. შენდება დიდი ბაღები და შემცირებულია ბავშვთა რაოდენობა, სამაგიეროდ გაორმაგებულია უფასო სასადილოს ბენეფიციართა და სოციალური დახმარების საჭიროების მქონე პირთა რაოდენობა, შესაბამისად, გაზრდილია ამ მიმართულებით გამოყოფილი თანხებიც. ის დაინტერესდა, როდის დაიწყება და დამთავრდება შუხუთის და ნინოშვილის სკოლების სამშენებლო სამუშაოები, რა ხდება ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შენობაში, საადვოკატო ფირმისთვის ხელშეკრულებით გადაცემული ოთახის უკან, მუზეუმისთვის დაბრუნების საკითხის ირგვლივ. ასევე, რატომ ვერ მოხერხდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სახანძრო-სამაშველო სამსახურის მოწესრიგება მაშინ, როცა ოზურგეთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში მოგვარდა და აღიჭურვა ახალი ტექნიკით.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ზაზა წულაძე** დაინტერესდა, იგეგმება, თუ არა ქვიანის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია.

საკრებულოს წევრი **გიორგი გოგუაძე** დაინტერესდა შემდეგი საკითხებით:

1. რა ხდება გრიგოლეთი-ფოთის შემაერთებელ ავტობანზე მშენებლობის ნებართვებთან დაკავშირებით;

2. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე მერიის შესაბამისი სამსახურიდან მოვიდა უარყოფითი პასუხი, იმ საბაბით, რომ იგი შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, რაც მისი თქმით არასწორია, რადგან ისინი ვალდებული არიან მიაწოდონ ინფორმაცია ლეგიტიმაციის მქონე საკრებულოს წევრს, ხოლო პერსონალური მონაცემების გაუთქმელობაზე თავად არიან პასუხისმგებლები და ამ საკითხის გარკვევა ითხოვა მუნიციპალიტეტის მერისგან;

3. რა მდგომარეობაა საფეხბურთო კლუბ ,,გურიაში“ და 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ინფორმაციის გავრცელების თვალსაზრისით, რატომ არ აქტიურობს მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.

საკრებულოს წევრმა **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ მიუხედავად მრავალგზის თხოვნისა, სუფსაში რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიიდან კვლავაც არ გაუტანიათ სამშენებლო ნარჩენები და რკინის კონსტრუქციები. ასევე, რეაბილიტაციას საჭიროებს რკინიგზის სადგურის ისტორიული შენობა და მიმდებარედ არსებული პარკის მოწესრიგება. გარდა ამისა, ტაბანათში შიდა სასოფლო გზების მოხრეშვითი სამუშაოების შემდეგ დარჩენილი ხრეშის მასა დროულად უნდა მოსწორდეს, რადგან ჭარბი ნალექის შემთხვევაში იგი ჩატანილი იქნება იქვე გამდინარე სანიაღვრე არხებში. ის ასევე დაინტერესდა, როდის გავა ექსპლუატაციაში მუნიციპალური ტრანსპორტი და განისაზღვრება მარშრუტი გრიგოლეთის და წყალწმინდის მიმართულებით.

საკრებულოს წევრმა **ელისო ჭიჭინაძემ** აღნიშნა, წელს ლანჩხუთის საფეხბურთო კლუბ ,,გურიას“ აქვს ასი წლის იუბილე და კარგი იქნება, თუ გურიის ფეხბურთის ფედერაცია ორგანიზებას გაუკეთებს იუბილეს აღსანიშნავ ღონისძიებას. მან ასევე აღნიშნა, რომ ლესის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის დიდი ნაწილი ეწევა მესაქონლეობას, მაგრამ არ აქვთ საკმარისი ტერიტორია საძოვრებისთვის, რადგან მათი საკმაო ნაწილი უკანონოდ არის შეღობილი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** დასმულ კითხვებსა და შენიშვნებზე გააკეთა შემდეგი სახის განმარტებები:
ა) განხორციელდა ნიგოითის და ჯურუყვეთის სკოლების სრული დემონტაჟი, გამოცხადდება ტენდერი და დაიწყება მშენებლობა. ასევე, რეაბილიტაცია უტარდება ქალაქის N1, ხაჯალიის და ღრმაღელის საჯარო სკოლებს. შუხუთის საჯარო სკოლაში მიმდინარეობს სამუშაოები სახურავის გამოსაცვლელად და მოხდება მისი სრული რეაბილიტაცია. გარდა ამისა, ნინოშვილის საჯარო სკოლის და საბავშვო ბაღის შენობები

და ტერიტორია დაათვალიერეს მოწვეულმა გეოლოგებმა, რომელთაც ოფიციალური დასკვნა ჯერ არ დაუდიათ, მაგრამ გასცეს რეკომენდაცია, რომ აღნიშნულ შენობებში და ტერიტორიაზე სწავლის გაგრძელება საფრთხის შემცველია. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ უზრუნველყო სკოლის მოსწავლეების გადაყვანა ჯურუყვეთის თემში მდებარე საჯარო სკოლაში, ხოლო ადგილობრივმა ხელისუფლებამ - ბავშვების გადაყვანა ეწრის საბავშვო ბაღში. მას ასევე ჰქონდა კომუნიკაცია რესურსცენტრის ხელმძღვანელთან, რომელმაც ითხოვა დახმარება იმასთან დაკავშირებით, რომ მიემართოს სათანადო წერილით ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, რათა დროულად მოხდეს ადგილზე გეოლოგების ჩამოსვლა, რომლებიც დადებენ ოფიციალურ დასკვნას და შემდგომში იმოქმედებენ იმის მიხედვით: ახალი ტერიტორია იქნება მოსაძიებელი თუ გამოდგება არსებული, ექვემდებარება თუ არა შენობები რეაბილიტაციას და ა.შ.

ბ) ბაღებთან დაკავშირებით, ბოლო წლების მანძილზე მართლაც შეინიშნება ბავშვთა რაოდენობის კლება, რაც დაკავშირებულია დემოგრაფიულ პრობლემებზე, მაგრამ როცა შენდება ახალი ბაღები, ისინი უნდა შეესაბამებოდნენ თანამედროვე სტანდარტებს. მან განმარტა, რომ ყველა ბაღი, რომელიც აშენდა ბოლო სამი წლის მანძილზე, შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს და ის ბაღებიც რომელთა აშენება და რეაბილიტაცია შემდგომში მოხდება, იქნება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, ხოლო მათი რეაბილიტაცია-მშენებლობა მოხდება პრიორიტეტების მიხედვით.

გ) მუზეუმთან დაკავშირებით, შესაბამის სამინისტროსთან კომუნიკაციის შედეგად არის რეკომენდაცია, რომ აშენდეს ერთი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი შენობა, რომელიც გააერთიანებს ქალაქის მუზეუმებს. ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიღებულია, გამოცხადდება ტენდერი და მიმდინარე წელს დაიწყება მშენებლობა.

დ) სახანძრო-სამაშველო სამსახურის შენობის ასაშენებლად შერჩეულია ყოფილი რაიკავშირის ეზოს ტერიტორია და უახლოეს ვადაში მერიის შესაბამისი სამსახურები დაიწყებენ მუშაობას მიწის გადაცემასთან დაკავშირებით და საბოლოოდ მივიღებთ თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილ და გამართულ სახანძრო-სამაშველო სამსახურს.

ე) გრიგოლეთი-ფოთის შემაერთებელ ავტობანზე მშენებლობის ნებართვებთან დაკავშირებით მას ჰქონდა კომუნიკაცია საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის წარმომადგენლებთან, ავტობანის ამ მონაკვეთზე მშენებლობა დაიწყება 2025 წელს და ჯერ-ჯერობით შეჩერებულია ნებართვების გაცემა.

ვ) ზოგადად, პირის თანხმობის გარეშე არ შეიძლება პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის მოპოვება, ამასთანავე, მერიის ყველა სამსახური საჯარო ინფორმაციას დროულად და კანონის სრული დაცვით გასცემს .

ზ) საფეხბურთო კლუბ ,,გურიას“ 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ინფორმაციის გავრცელებაში ის პრობლემას ვერ ხედავს, შესაბამისი სამსახურები და გურიის ფეხბურთის ფედერაცია იზრუნებს ამ საკითხზე. ზოგადად საფეხბურთო კლუბები, ფონდიდან მიღებული იმ 200000 ლარის გარდა მუნიციპალიტეტიდან ვერ მიიღებენ ფინანსურ დახმარებას, ამიტომ მიმდინარეობს მოლაპარაკებები კლუბში მოსვლის მსურველ სპონსორებთან დამატებითი ფინანსების მოსაპოვებლად და ის იმედს იტოვებს, რომ არსებული მდგომარეობა შეიცვლება ლანჩხუთის ,,გურიას“ და მისი ქომაგების სასარგებლოდ.

თ) სუფსაში რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგებასთან დაკავშირებით გაგზავნილია წერილი შესაბამის სამინისტროში და არის დაპირება, რომ მოგვარდება ეს საკითხი;

ი) ტაბანათში ინერტული მასალის ნარჩენების გატანასთან დაკავშირებით, მოხდება ამ სამუშაოების შემსრულებელ კომპანიასთან დაკავშირება და ისინი მოაგვარებენ ამ საკითხს.

კ) მუნიციპალური ტრანსპორტის ექსპლუატაციაში გასვლამდე მოლაპარაკება იქნა წარმოებული საქართველოს ბანკთან, გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც გაკეთდება თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი მოსაცდელები იქ, სადაც არ აქვს ვალდებულება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს და კიდევ მუნიციპალიტეტისათვის სასიკეთო სხვა პირობები, ხოლო შემდგომ მოხდება მარშრუტების განსაზღვრა.

ლ) ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში საძოვრის ნაწილი მართლაც უკანონოდ არის

შეღობილი და გასულ წელს მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ, ადგილზე შემოწმების შემდეგ დაიწერა 1000 ლარიანი ჯარიმა, რომელიც დღემდე გადაუხდელია, ამასთან დაკავშირებით სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში გაიგზავნა წერილი, რომელიც უკან გადმომისამართდა, შემდგომ კანონდამრღვევი პირის მიმართ კვლავ დაიწერა 3000 ლარიანი ჯარიმა, მაგრამ არ არის რეაგირება, რის გამოც სანქციები უფრო გამკაცრდება, მოიმატებს ჯარიმის საფასური და ბოლოს გადაეცემა აღმასრულებელს რათა მოხდეს ღობის დემონტაჟი.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს წევრთა
დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

26 მარტი 2024 წელი
12:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ბესიკ ტაბიძე	11 05	
2	ემზარ თევდორაძე	11 55	
3	ვერიკო კვირკველია	11.57	
4	გიორგი ჩახვაძე	11 57	
5	გიორგი ხელაძე	11 50	
6	ალექსანდრე მახათაძე	11 55	
7	ზაზა წულაძე	11 55.	
8	კარლო კვიტაიშვილი	11 55	
9	გიორგი იმნაიშვილი	11:56	
10	ია მოქია	11:55	
11	კახაბერ ასკურავა		
12	მაკა მშვიდობაძე	11:55 წთ.	
13	ვლადიმერ ნანაძე	11 35	
14	კარლო წილოსანი	11 58	
15	ლოლიტა ურუშაძე		
16	ნინო მშვიდობაძე	12:00	
17	გოგი მორჩილაძე		
18	სპარტაკ კვაჭაძე	11-58.	
19	გიორგი გოგუაძე	11 45	
20	გოჩა ჯანაშია	11 55	
21	ელისო ჭიჭინაძე	11 00.	
22	რევაზ კვერენჩხილაძე	11 45	
23	კახა თედორაძე		

24	დარეჯან ბურჭულაძე		
25	ირმა მგელაძე	11 35	
26	გივი ცინცაძე		
27	ჯუმბერ ბლაგიძე	11 45	